

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 209-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის - მეურვეობის კანდიდატის შესარჩევი საპარლამენტო საკონკურსო კომისიის დებულებას, რომელიც საკონკურსო კომისიის სხდომაზე შემუშავებულ იქნა 2022 წლის 4 აპრილს.

პატივისცემით,

ზაქარია ზაქარაძე

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს  
წევრობის - მეურვეობის კანდიდატის შესარჩევი  
საპარლამენტო საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე



საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს. N: 1-4120/22
04.04.2022 წ. ფურც. 6

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის - მეურვეობის კანდიდატთა  
შესარჩევი საპარლამენტო საკონკურსო კომისია

სხდომის ოქმი N1

2022 წლის 4 აპრილი, 14:00 საათი  
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N8  
ქიული შარტავას სახელობის დარბაზი  
(ა კორპუსი, ოთახი 307)

სხდომას ესწრებოდნენ :

1. მაკო ჯაოშვილი
2. ბაკურ ბაკურაძე
3. მიხეილ ჯავახიშვილი
4. ეკა მელქაძე
5. ნინო მეუნარგია
6. ერმილე მესხია (ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებით)
7. გიორგი იმედაშვილი
8. გიორგი დავითური
9. მარიამ გოგოსაშვილი

დღის წესრიგი:

1. საკონკურსო კომისიის დებულების შემუშავება.
2. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის არჩევა.
3. საკონკურსო კომისიის მდივნის არჩევა.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, საკონკურსო კომისიამ იმსჯელა საკონკურსო კომისიის დებულების შინაარსზე და შეიმუშავა დებულების საბოლოო რედაქცია. კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი საკონკურსო კომისიის დებულების საბოლოო რედაქციას.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე და მესამე საკითხებთან დაკავშირებით გაიმართა არჩევის პროცედურა. საკონკურსო კომისიამ კომისიის თავმჯდომარედ კომისიის წევრის მაკო ჯაოშვილის წარდგინებით ღია კენჭისყრით კომისიის 6 წევრის

მხარდაჭერით, აირჩია ბაკურ ბაკურაძე, ხოლო კომისიის მდივნად ერთხმად იქნა არჩეული მაკო ჯაოშვილი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

კომისიის წევრი (კომისიის თავმჯდომარე):

ბაკურ ბაკურაძე



კომისიის წევრი (კომისიის მდივანი):


მაკო ჯაოშვილი



კომისიის წევრი: მიხეილ ჯავახიშვილი



კომისიის წევრი: ეკა მელქაძე



კომისიის წევრი: ნინო მეუნარგია



კომისიის წევრი: გიორგი იმედაშვილი



კომისიის წევრი: გიორგი დავითური



კომისიის წევრი: მარიამ გოგოსაშვილი



კომისიის წევრი: ერმილე მესხია

(სხდომას ესწრებოდა ელექტრონული

საკომუნიკაციო საშუალებით, გამოხატა თანხმობა სხდომის ოქმით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით)

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის – მეურვეობის კანდიდატის შესარჩევი საპარლამენტო საკონკურსო კომისიის დებულება

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის – მეურვეობის კანდიდატის შესარჩევი საკონკურსო კომისია (შემდგომ – კომისია) არის საქართველოს პარლამენტის დადგენილებით შექმნილი დროებითი ორგანო, რომლის ფუნქციაა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის – მეურვეობის კანდიდატის (შემდგომ – კანდიდატი) შერჩევა.

2. კომისია თავისი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ დებულებითა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით.

3. კომისია შედგება 9 წევრისგან.

4. კომისიის შექმნის წესი განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით.

5. კომისიის შექმნის მიზანია საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრთა – მეურვეთა შერჩევის პროცესში მონაწილეობა.

**მუხლი 2. კომისიის უფლებამოსილება**

1. კომისია ამ დებულებით განსაზღვრავს კანდიდატის შეფასების დამატებით კრიტერიუმებს.

2. კომისია კანდიდატს შეარჩევს ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე კანდიდატი შეირჩევა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. კანდიდატის შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება ამ დებულებით.

3. მეორე ეტაპზე კანდიდატი შეირჩევა მის მიერ წარმოდგენილი საზოგადოებრივი მაუწყებლის განვითარების კონცეფციის განხილვისა და მასთან გასაუბრების შედეგად.

4. კომისია უზრუნველყოფს შერჩეული კანდიდატის მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის განვითარების კონცეფციის საჯარო განხილვას. ამასთანავე, კანდიდატი ვალდებულია კომისიას წარუდგინოს საზოგადოებრივი მაუწყებლის განვითარების კონცეფცია, რომელიც საჯაროდ უნდა გამოქვეყნდეს, და მონაწილეობა მიიღოს საჯარო დებატებში, რომლებიც გაიმართება საქართველოს პარლამენტის მიერ მის მეურვედ არჩევამდე და გადაიცემა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით.

5. კანდიდატის შერჩევის შემდეგ კომისია საქართველოს პარლამენტს (შესაბამის სუბიექტებს) წარუდგენს ასარჩევზე სულ ცოტა სამჯერ მეტ კანდიდატურას.

**მუხლი 3. კომისიის საქმიანობის წესი და ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა**

1. კომისიის საქმიანობას წარმართავს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – კომისიის მდივანი.

2. კომისიის თავმჯდომარე აირჩევა კომისიის წევრთაგან, ღია კენჭისყრით. კომისიის თავმჯდომარე არჩეულად ჩაითვლება, თუ იგი მიიღებს კომისიის სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობას, მაგრამ არანაკლებ 5 ხმისა.

3. კომისიის მდივანი აირჩევა კომისიის წევრთაგან, ღია კენჭისყრით. კომისიის მდივანი არჩეულად ჩაითვლება, თუ იგი მიიღებს კომისიის სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობას, მაგრამ არანაკლებ 5 ხმისა.

4. კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს კომისიის წევრს.

5. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა.

6. კომისიის სხდომა მოიწვევა კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.

7. კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია მოიწვიოს კომისიის სხდომა, თუ ამას მოითხოვს კომისიის 3 წევრი მაინც.

8. კომისიის წევრებს კომისიის სხდომის მოწვევის შესახებ უნდა ეცნობოთ სხდომამდე არაუგვიანეს 24 საათისა.

9. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება კომისიის 6 წევრი მაინც.

10. კომისიის წევრს უფლება აქვს, კომისიის სხდომის მუშაობაში მონაწილეობა მიიღოს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებით, რაც აისახება კომისიის სხდომის ოქმში.

11. კომისია გადაწყვეტილებას იღებს კომისიის სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ 5 ხმისა.

12. კომისიის სხდომის ოქმი ფორმდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად.

13. კომისიის გადაწყვეტილებას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

14. კომისიის სხდომა, როგორც წესი ღიაა. კომისიის სხდომა შეიძლება დაიხუროს კომისიის გადაწყვეტილებით.

15. კომისიას სამუშაო პირობებით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფს საქართველოს პარლამენტის აპარატი.

#### მუხლი 4. კომისიის თავმჯდომარე და მდივანი

1. კომისიის თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს კომისიის მუშაობას;

ბ) იწვევს და წარმართავს კომისიის სხდომებს;

გ) კომისიას დასამტკიცებლად წარუდგენს კომისიის სხდომის დღის წესრიგს;

დ) უზრუნველყოფს კომისიის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პროცედურების განხორციელებას;

ე) წვეტს სხვა საკითხებს, რომელთა გადაწყვეტაც საჭიროა კომისიის გამართული ფუნქციონირებისათვის და შეესაბამება კომისიის საქმიანობის მიზნებსა და ამოცანებს;

ვ) წარმოადგენს კომისიას მესამე პირებთან ურთიერთობაში;

ზ) ხელს აწერს კომისიის მიერ მიღებულ აქტებს.

2. კომისიის მდივანი:

- ა) უზრუნველყოფს კომისიის სხდომის მოწვევისა და გამართვის ორგანიზაციულ საკითხებს;
- ბ) კომისიის სხდომაში მონაწილეობისათვის იწვევს კანდიდატებს;
- გ) უზრუნველყოფს სხდომაზე ჩასატარებელი კენჭისყრის პროცედურების განხორციელებას;
- დ) აფორმებს კომისიის სხდომის ოქმს;
- ე) ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მითითებებსა და დავალებებს.

**მუხლი 5. კანდიდატისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის განვითარების კონცეფციების შეფასების კრიტერიუმები**

1. კანდიდატს, რომელმაც არასრული დოკუმენტაცია წარმოადგინა, უფლება აქვს, კომისიის მიერ აღნიშნული ფაქტის გამოვლენიდან 24 საათში შეავსოს ხარვეზი.
2. პირველ ეტაპზე კანდიდატი ფასდება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ამ დებულებით განსაზღვრული დამატებითი კრიტერიუმების საფუძველზე.
3. მეორე ეტაპზე ხდება შერჩეულ კანდიდატთან გასაუბრება და ფასდება მის მიერ წარმოდგენილი საზოგადოებრივი მაუწყებლის განვითარების კონცეფცია.
4. კანდიდატის შეფასების დამატებითი კრიტერიუმებია:
  - ა) კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საზოგადოებრივი მაუწყებლის განვითარების კონცეფციის მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობა;
  - ბ) კანდიდატი არ უნდა იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი, მათ შორის, კომისიის მუშაობის პერიოდში არ უნდა იყოს საარჩევნო კანდიდატად დასახელებული.

**მუხლი 6. კანდიდატის შეფასების წესი**

1. კანდიდატისათვის ხმის მიცემა ხდება ღია კენჭისყრით. კომისიის გადაწყვეტილებით ხმის მიცემა შესაძლებელია ფარული კენჭისყრითაც.
2. კომისიის წევრები საქართველოს პარლამენტს (შესაბამის სუბიექტებს) წარუდგენენ შერჩეულ კანდიდატთა სიას, რომელიც დალაგებულია მათ მიერ მიღებული ხმების მიხედვით, მეტიდან ნაკლებისკენ. თანაბარი რაოდენობის ხმების მიღების შემთხვევაში კანდიდატთა სია ანბანურად ლაგდება.

**მუხლი 7. დასკვნითი დებულებანი**

1. კანდიდატთა შერჩევის პროცედურების განხორციელების შემდეგ კომისია ასრულებს მუშაობას.
2. კომისიის მიერ მუშაობის დასრულების შემდეგ კომისიის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცემა საქართველოს პარლამენტს.